940/2
Б-ка.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

მთავრობის

დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1940 წ. ოქტომბრის 18 № 26 თბილისი

შინაარსი

სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი

113. მიმღებ პუნქტებზე შაქრის ჭარხლის თავის დროზე გადაზიდვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ.

114. მრავალწლოვან სუბტროპიკულ კულტურათა ნარგავების პასპორტიზაციის ჩატარების შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

115. საქართველოს სსრ მთაგორიან რაიონებში მარცვლეულის პროდუქტების ავტოსაჭაპანო გადაზიდვის განაკვეთების შესახებ.

116. საქართველოს სსრ სახელოსნო სასწავლებლებსა, სარკინიგზო სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში ქალაქისა და კოლმეურნე ახალგაზრდობის გაწვევის შესახებ.

საქ. სახ. საქ. სარ...
ბიბლიოთეკა
თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქ კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი

113. **მიმღებ პუნქტებზე შაქრის ჭარხლის თავის დროზე გადაზიდვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ ამოღებული შაქრის ჭარხლის დამამზადებელ პუნქტებზე გადაზიდვის სრულიად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობას.

ჭარხლის გადაზიდვაზე კოლმეურნეობათა ცოცხალი გამწევი ძალისა და ავტოტრანსპორტის არასაკმაოდ გამოყენების გამო ჭარხლის მოსავლის აღების პირველ დღეებიდანვე გადაზიდვა ჩამორჩა ამოღებას, რის შედეგადაც ამოღებული შაქრის ჭარხლის მნიშვნელოვანი რაოდენობა რჩება მინდვრად, ჰკარგავს შაქრიანობას და ფუჭდება.

1940 წლის 25 სექტემბრის მდგომარეობის მიხედვით ხაშურის რაიონში ამოღებული 26.000 ცენტნერი ჭარხლიდან გადაზიდული არ იყო 5.140 ცენტნერი, ხოლო კასპის რაიონში 8.148 ცენტნერიდან გადაზიდული არ იყო 2.166 ცენტნერი ჭარხალი.

შაქრის ჭარხლის არა თავის დროზე გადაზიდვის შედეგად დანაკარგების თავიდან აცილების მიზნით და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 27 სექტემბრის დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაევალოს საქართველოს კ. პ. (ბ) რაიონულ კომიტეტებს, მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოების აღმასკომებს, მტს ების დირექტორებს, მიწგანების გამგეებს და ხაშურის, ქარელის, გორის და კასპის რაიონების კოლმეურნეობათა გამგეობებს უზრუნველჰყონ ამოღებული ჭარხლის გადაზიდვა ამოღების დღეს, მაგრამ არა უგვიანეს შემდეგი დღისა, არ დაუშვან დაშორება ამოღებასა და გაწმენდას შორის, გაწმენდასა და გადაზიდვას შორის, რისთვისაც ჭარხლის გადასაზიდად დაუყოვნებლივ გამოჰყონ ცოცხალი გამწევი ძალისა და ურმების საჭირო რაოდენობა და მთლიანად გამოიყენონ კოლმეურნეობათა მთელი არსებული ავტოტრანსპორტი.

2. კოლმეურნეობათა თვითეულ ავტომანქანაზე და ცოცხალი გამწევი ძალის თვითეულ ულელზე დაწესდეს ჭარხლის გადაზიდვის შემდეგი სეზონური ნორმები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტოტრანსპორტით შაქრის ჭარხლის გადაზიდვის სეზონური ნორმები (ერთ მანქანაზე ტონობით):

გადაზიდვის მანძილი	გადაზიდვის ვადები													
	5 დღე		10 დღე		15 დღე		20 დღე		30 დღე		40 დღე		50 დღე	
	ბაზ ბა	ზის 5	ბაზ ბა	ზის 5	ბაზ ბა	ზის 5	ბაზ ბა	ზის 5	ბაზ ბა	ზის 5	ბაზ ბა	ზის 5	ბაზ ბა	ზის 5
5 კილომეტრი	60	108	120	216	180	324	240	432	360	648	480	864	600	1080
5—10 „	48	92	96	184	144	276	192	368	288	552	384	736	480	920
10—15 „	40	76	80	144	120	216	160	288	240	432	320	576	400	720
15—20 „	32	58	64	116	96	174	128	232	192	348	256	464	320	580
20—30 „	24	44	48	88	72	132	96	176	144	264	192	352	240	440

კოლმეურნეობათა ცოცხალი გამწევი ძალით შაქრის ჭარხლის გადაზიდვის სეზონური ნორმები (ერთ ულელ ხარზე, ტონობით):

გადაზიდვის მანძილი	გადაზიდვის ვადები						
	5 დღე	10 დღე	15 დღე	20 დღე	30 დღე	40 დღე	50 დღე
5 კილომეტრი	7	14	21	28	42	56	70
5—10 „	4	8	12	16	24	32	40
10—15 „	3,5	7	10,5	14	21	28	35
15—20 „	1,75	3,5	5,25	7	10,5	14	17,5
20—30 „	1,5	3	4,5	6	9	12	15

3. წინადადება მიეცეს კოლმეურნეობათა გამგეობებს დააწესონ კოლმეურნე მზიდავებისა და მტვირთავების და კოლმეურნეობათა ავტომანქანების შოფერების შრომის ანაზღაურების შემდეგი წესი მათ მიერ შაქრის ჭარხლის გადაზიდვის სეზონურ დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების დროს:

ა) დაწესებული სეზონური დავალების შესრულების დროს ჭარხლის გადაზიდვაზე გამწევი ძალით მომუშავე კოლმეურნეებს დაერიცხოთ შრომადღეები ერთნახევარი რაოდენობით; გადაზიდვის ვადით დაწესებულ ფარგლებში დაწესებული სეზონური ნორმის ზევით გადაზიდული ჭარხლის თვითეულ ცენტნერში შრომადღეები დაერიცხოთ ორმაგი რაოდენობით;

ბ) კოლმეურნეობათა ავტომანქანების შოფერებს სეზონური ნორმის დაწესებულ ვადაში შესრულების დროს შრომის არსებული ანაზღაურება გაუდიდდეთ 20 პროცენტით;

კოლმეურნეობის ავტომანქანებით დაწესებულ ვადებში სეზონური ნორმის ზევით გადაზიდული ჭარხლის თვითეული ტონისათვის შრომა ანაზღაურებულ იქნას ერთნახევარი რაოდენობით:

გ) კოლმეურნეებს, რომლებიც კოლმეურნეობათა ავტომანქანებზე ჭარხლის ნდატვირთვა-გადმოტვირთვაზე მუშაობენ, ავტომანქანით გადაზიდვის სეზონური ორმის შესრულების დროს შრომადღეები დაერიცხოთ ერთნახევარი რაოდენობით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

სეზონური ნორმის ზევით გადაზიდული ჭარხლის თვითეულ ტონაში დაერიცხოთ შრომადღეები ორმაგი რაოდენობით კოლმეურნეობებში არსებულ შეფასებებთან შედარებით;

დ) კოლმეურნეებს, რომლებიც „სოიუზზაგოტტრანსის“ მანქანებზე მუშაობენ, ჭარხლის გადაზიდვის დღიური ნორმის შესრულების დროს შრომადღეები დაერიცხოთ ერთნახევარი რაოდენობით.

4. ამოღებული ჭარხლის სრული დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, ჭარხლის მთესველი კოლმეურნეობების გამგეობებს დაევალოს გამოჰყონ სპეციალური პირები ჭარხლის დასაცავად დატაცებისაგან, პირუტყვის მიერ წახდენისაგან და სხვ.

5. დაევალოს აგარის შაქრის ქარხნის დირექტორს ამხ. საყვარელიძეს უზრუნველჰყოს მიმღები პუნქტების შეუფერხებელი მუშაობა, არ დაუშვას ჭარხლის ჩამბარებელ კოლმეურნეთა დიდხანს გაჩერება და დააწესოს სასტიკი კონტროლი პუნქტების მიერ მიღებული შაქრის ჭარხლის აწონის სისწორეზე.

6. დაევალოს საქართველოს კ. პ. (ბ) ხაშურის, ქარელის, გორის და კასპის რაიკომების მდივნებს და რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს თვითეულ კოლმეურნეობამდე, ბრიგადამდე და კოლმეურნემდე დაიყვანონ შაქრის ჭარხლის გადაზიდვის სამუშაოთა ანაზღაურების დადგენილი წესი და ყოველდღიურად ადევნონ თვალი ამ დადგენილების შესრულებას.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე
ვ. ბაქრაძე.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი
კ. შეროზია.

1940 წ. ოქტომბრის 2. № 1922.
თბილისი.

---

114. მრავალწლოვან სუბტროპიკულ კულტურათა ნარგავების პასპორტიზაციის ჩატარების შესახებ.

განსახორციელებლად სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 25 აპრილის დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში ჩაის მეურნეობის, ციტრუსოვანი კულტურების, მევენახეობისა და ხარისხოვანი მეღვინეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ (სსრკ დადგ. კრ. 1940 წ. № 11, მუხ. 269) იმ ნაწილში, რომელიც მრავალწლოვან სუბტროპიკულ კულტურათა ნარგავების პასპორტიზაციას შეეხება, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. სუბტროპიკული კულტურების ნარგავთა მოვლის შემდგომი გაუმჯობესების, მოსავლიანობის გადიდების, ფართობებისა და ნარგავების ზუსტი აღრიცხვის მიზნით, ჩატარდეს ჩაის პლანტაციების, ციტრუსოვანი კულტურების,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტუნგოსა და სხვა სუბტროპიკული ხეხილის პასპორტიზაცია ყველა კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, სხვა სახელმწიფო საწარმოთა და ორგანიზაციათა მეურნეობებში, კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე, ერთპიროვნულ მეურნეთა, მუშათა, მოსამსახურეთა და მოსახლეობის სხვა ჯგუფების მეურნეობებში.

2. მრავალწლოვანი სუბტროპიკული კულტურების პასპორტიზაცია ჩატარდეს ოჩემჩირის, სოხუმის, გუდაუთის, გაგრის, გალის, ქობულეთის, ბათუმის, მახარაძის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ფოთის, ზუგდიდის, ხობის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, გეგეჭკორის, ცხაკაიას, ტყიბულის, ვანის, წულუკიძის, სამტრედიის, წყალტუბოს, ქუთაისის, ჩხარის, ზესტაფონის, აბაშის რაიონებში.

3. პასპორტიზაციის ჩატარება დაეკისროს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, რისთვისაც საქ. სსრ მიწსახკომთან მოეწყოს მრავალწლოვან სუბტროპიკულ კულტურათა პასპორტიზაციის ბიურო 15 მუშაკის შემადგენლობით 1940 წელს და 25 მუშაკის შემადგენლობით 1941 წელს.

4. წინადადება მიეცეს საქკონსერვტრესტის მმართველს ამხ. ავაქოვს გაანთავისუფლოს ამხ. ლ. ბრეგვაძე და გაგზავნოს იგი საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის განკარგულებაში პასპორტიზაციის ბიუროში გამოსაყენებლად.

5. მოწონებულ იქნას სუბტროპიკული კულტურების პასპორტიზაციის საორგანიზაციო გეგმა, ბლანკების ფორმები და მათი შევსების ინსტრუქცია, წარმოდგენილი საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ.

6. მრავალწლოვან სუბტროპიკულ კულტურათა პასპორტიზაცია დაწყებულ იქნას 1941 წლის მარტიდან და მინდვრის მთელი სამუშაოები დამთავრდეს 1941 წლის დამლევისათვის.

პასპორტიზაციის მასალების დამუშავება დამთავრდეს 1942 წლის დამლევისათვის.

7. ნება დაერთოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს 1940 წლის შემოდგომაზე ჩაატაროს სუბტროპიკული კულტურების ნარგავების საცდელი პასპორტიზაცია ქობულეთის რაიონში, ამასთან მოიწვიოს საქართველოს სსრ სხვა რაიონებიდან ბრიგადების თითო წევრი.

ქობულეთის რაიონში ჩატარებული პასპორტიზაციის შედეგები მოხსენდეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს არაუგვიანეს 1941 წლის 1 მარტისა.

8. ნარგავების პასპორტიზაცია ჩატარდეს 1941 წლის 1 იანვრისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით.

9. ჩაის პლანტაციების, ციტრუსოვანი და სხვა მრავალწლოვანი სუბტროპიკული კულტურების პასპორტიზაცია საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობის ტრესტის საბჭოთა მეურნეობებში დაეკისროს საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაევალოს საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის დირექტორს ამხ. ნარსიას 1940 წლის შემოდგომაზე ჩაატაროს სუბტროპიკული ნარგავების საცდელი პასპორტიზაცია საქართველოს სსრ მიწსახკომის მიერ შემუშავებული პროგრამისა და აღრიცხვის ფორმების მიხედვით, ჩაქვის, ოჩხამურის, კოხისა და ჯიხანჯურის საბჭოთა მეურნეობებში ამასთან დაამთავროს პასპორტიზაციის მასალების დამუშავება 1941 წლის 1 თებერვლამდე.

საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობის ტრესტის დანარჩენ საბჭოთა მეურნეობებში პასპორტიზაცია დაწყებული იქნას 1941 წლის მარტიდან და მასალების დამუშავება დამთავრდეს 1942 წლის 1 სექტემბრისათვის.

10. პასპორტიზაციის ჩასატარებლად მოეწყოს 105 ბრიგადა, რომლებიც განაწილდეს რაიონების მიხედვით, თანახმად დანართისა № 1.

დაწესდეს, რომ ბრიგადებში შედიან ნიადაგმცოდნე აგრონომები და მიწათმომწყობები, აგრეთვე იმ სასოფლო საბჭოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომელთა ტერიტორიაზედაც პასპორტიზაცია ტარდება.

დამტკიცდეს ქობულეთის რაიონში საცდელი პასპორტიზაციის ჩასატარებლად გამოყოფილი ბრიგადების პერსონალური შემადგენლობა, თანახმად დანართისა № 2.

11. წინადადება მიეცეს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილებას და საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ხუთი დღის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს იმ მიწათმომწყობთა სია, რომლებიც მობილიზებულ უნდა იქნან პასპორტიზაციის ჩასატარებლად.

12. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს პასპორტიზაციის ბრიგადების წევრთა მოსამზადებლად და მათთვის ინსტრუქტაჟის გასაწევად მოაწყოს ქობულეთში მოკლე ვადიანი კურსები 1940 წლის 15 ოქტომბრიდან.

13. დაევალოს ბლანკების გამომცემლობის საქართველოს კონტორას — ა. ხოფერიას, 10 დღის ვადაში დაბეჭდოს საცდელი პასპორტიზაციის ბლანკების ფორმები და ინსტრუქციები. პასპორტიზაციისათვის საჭირო ფორმებისა და ბლანკების დანარჩენი რაოდენობა დაბეჭდოს არაუგვიანეს 1941 წლის 15 იანვრისა.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას ერთი დეკადის ვადაში გამოუყოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს 6 ტონა ქაღალდი აღნიშნული ფორმებისა და ინსტრუქციების დასაბეჭდად, აგრეთვე 1940 წ. 1 დეკემბრამდე გამოუყოს 130 რულონი ვატმანის ქაღალდი და 280 რულონი ცვილანა, აქედან 20%—1940 წ. 20 ოქტომბრამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

14. დამტკიცდეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა 1940-42 წლებში პასპორტიზაციის ჩასატარებლად საჭირო ხარჯებისა 5.620.996 მანეთის რაოდენობით, აქედან 1940 წლისათვის— 1.200.000 მანეთის რაოდენობით.

დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს გაითვალისწინოს 1941 წლის ბიუჯეტში 3.783 ათასი მანეთი პასპორტიზაციის ჩასატარებლად.

15. პასპორტიზაციის ბრიგადების მუშაობისადმი ყოველდღიური ხელმძღვანელობისა და კონტროლის განხორციელების მიზნით, შეიქმნას საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან რესპუბლიკური კომისია შემდეგი შემადგენლობით: საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. გ. ალავიძე (თავმჯდომარე). პროფ. ამხ. თ. კვარაცხელია, ამხ. ბ. იაკობაშვილი, ა. თოფურია, დ. იგითხანოვი (საქართველოს სსრ მიწსახკომი), კ. ბახტაძე (საქ. სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატი), ი. მორგოშია (სახელმწიფო საგეგმო კომისია), გელაშვილი (საქართველოს სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველო), მ. ნარსია (საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი) და ა. გაბუნია (ლიმანტრესტი).

16. დაევალოს საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანს ამხ. თვალჭრელიძეს, აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ფუტკარაძეს, ქობულეთის რაიკომის მდივანს ამხ. დვალს და მშრომელთა დეპუტატების ქობულეთის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. მეგრელიძეს ყოველგვარი დახმარება გაუწიოს ბრიგადებს, რომლებიც საცდელ პასპორტიზაციას ატარებენ ქობულეთის რაიონში.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე
ვ. ბაქრაძე.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი
კ. შეროზია.

1940 წ. ოქტომბრის 14. № 2033.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

115. საქართველოს სსრ მთაგორიან რაიონებში მარცვლეულის პროდუქტების ავტოსაჭაპანო გადაზიდვის განაკვეთების შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 13 იანვრის № 48 დადგენილებისა „მოვაჭრე ორგანიზაციებისათვის მარცვლეული პროდუქტების გადაზიდვის ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ“ და დამატებით საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1938 წლის 8 თებერვლის დადგენილებისა „საქართველოს სსრ მთიან რაიონებში მარცვლეულის პროდუქტების ავტოსაჭაპანო გადაზიდვის განაკვეთების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1938 წ. № 5, მუხ. 20), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაწესდეს, რომ აღბულახის, ახალქალაქის, ბაშკიჩეთის, ბოგდანოვკის, ბორჯომის, მაიაკოვსკის, გეგეჭკორის, ზუგდიდის, ზემო-სვანეთის, ყვარლის, ლაგოდეხის, სიღნაღის, საგარეჯოს, თელავის, ხაშურის, ქარელის, წალკის, ცხაკაიას, ჩხოროწყუს, საჩხერის, გალის, გაგრის, ოჩემჩირის, სოხუმის, ქედის, ხულოს, სტალინირის და ზნაურის რაიონებში პურეულის პროდუქტებისა და მარცვალფურაჟის გადაზიდვის ავტოსაჭაპანო ხარჯების ანაზღაურება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ორთვლიანი ტრანსპორტით (ურმით) გადაზიდვის დროს სწარმოებს ფაქტიური ხარჯების მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს 5 მან. და 60 კაპ. ტონა კილომეტრში.

ეს დადგენილება ძალაში შედის 1940 წლის 1 ოქტომბრიდან.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ს. ხოშტარია.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. ოქტომბრის 10. № 1999.
თბილისი.

---

116. საქართველოს სსრ სახელოსნო სასწავლებლებსა, სარკინიგზო სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში ქალაქისა და კოლმეურნე ახალგაზრდობის გაწვევის შესახებ.

შესასრულებლად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 2 ოქტომბრის გრძანებულებისა „სსრ კავშირის სახელმწიფო შრომითი რეზერვების შესახებ“ და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1940 წლის 2 ოქტომბრის დადგენილებისა „ქალაქისა და კოლმეურნე ახალგაზრდობის სახელოსნო სასწავლებლებში, რკინიგზის სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში გაწვევის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრ. 1940 წ. № 25, მუხ. 603), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გაწვეულ (მობილიზებულ) იქნას საქართველოს სსრ-ში 1940 წლის 10-დან 25 ნოემბრამდე სახელოსნო სასწავლებლებსა, სარკინიგზო სასწავლებლებსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში ქალაქისა და კოლმეურნე ახალგაზრდობა მამრობითი სქესისა 4700 კაცის რაოდენობით, აქედან სახელოსნო და სარკინიგზო სასწავლებლებში 14-15 წლის ასაკის 3100 კაცი და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში 16—17 წლის ასაკის 1600 კაცი.

2. დამტკიცდეს სახელოსნო სასწავლებლებსა, სარკინიგზო სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში გასაწვევი ქალაქისა და კოლმეურნე ახალგაზრდობის კონტინგენტის განაწილება საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკებისა, ავტონომიური ოლქისა, ქალაქებისა და რაიონების მიხედვით შემდეგი წესით:

ავტონომიური რესპუბლიკები, ოლქი, ქალაქები და რაიონები	სულ გაწვეულია სახელოსნ. და სარკინიგზო სასწავ. 14-15 წ. ასაკის ახალგაზრდები	სულ გაწვეულია კოლმეურნე ახალგაზრდები	მ ა ნ შ ვ ი ს		ქალაქისა და კოლმეურნე ახალგაზრ. მთელი გასაწვევ. კონტინ.
			სახელოსნ. და სარკინიგზო სასწავ. 14-15 წლის ასაკის	საფაბრ.-საქარხნო სწავლ. 16-17 წლის ასაკისა	
აფხაზეთის ასსრ	110	164	56	108	274
აჭარის ასსრ	130	70	35	35	200
სამხ. ოს. ავტ. ოლქი	20	120	40	80	140
ქალ. თბილისი	1400	—	—	—	1400
„ ქუთაისი	140	—	—	—	140
„ ჭიათურა	20	—	—	—	20
„ ფოთი	40	4	2	2	44
აბაშის რაიონი	—	40	20	20	40
თეთრიწყაროს	—	45	20	25	45
ადიგენის	—	25	5	20	25
ამბროლაურის	—	55	20	35	55
ასპინძის	—	25	5	20	25
ახალქალაქის	5	75	20	55	80
ახალციხის	10	45	15	30	55
ბაშკიჩეთის	—	40	10	30	40
ბოგდანოვკის	—	35	10	25	35
ბორჯომის	20	30	10	20	50
ბორჩალოს	—	45	10	35	45
ვანის	—	55	20	35	55
გეგეჭკორის	—	45	20	25	45
გორის	25	78	30	48	103
გურჯაანის	5	75	30	45	80
დუშეთის	5	50	20	30	55
ზესტაფონის	20	57	20	37	77
ზუგდიდის	20	45	20	25	63
ყაზბეგის	—	2	1	1	2
ყარაიაზის	—	15	5	10	15
ქარელის	—	45	20	25	45
კასპის	—	40	20	20	40

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტონომიური რესპუბლიკები, ოლქი, ქალაქები და რაიონები	სულ გაწვეულია სახელოს. და სარკინიგზო სასწავ. 14-15 წ ასაკის ახალგაზრდები	სულ გაწვეულია კოლმეურნე ახალგაზრდები	მ ა ნ ქ ვ ე ნ ა ; სახელოსნ. და სარკინიგზო სასწავ. 14-15 წლის ასაკის	სოფლბრ.-საქარხნო სწავლ. სკოლ. 16-17 წლის ასაკისა	ქალაქისა და კოლმეურნე ახალგაზრდობ. მთელ. გასწვევ. კონტინ.
ყვარლის	—	35	10	25	35
ქ-სვანეთის	—	3	1	2	3
ქუთაისის	—	47	20	27	47
ლაგოდეხის	—	40	15	25	40
ლანჩხუთის	—	25	10	15	25
ლუქსემბურგის	—	40	10	30	40
მახარაძის	15	37	10	27	52
მაიაკოვსკის	—	40	15	25	40
მცხეთის	—	25	10	15	25
ონის	5	45	20	25	50
ორჯონიკიძის	—	50	20	30	50
საგარეჯოს	—	40	20	20	40
სამტრედიის	20	48	25	23	68
საჩხერის	—	55	20	35	55
სიღნაღის	5	50	25	25	55
თბილისის	—	45	20	25	45
თიანეთის	—	25	10	15	25
თელავის	20	75	30	45	95
ტყიბულის	15	35	15	20	50
ხაშურის	25	45	30	15	70
ხობის	—	30	10	20	30
ცაგერის	—	47	20	27	47
წალენჯიხის	—	33	10	23	33
წალკის	—	45	10	35	45
წითელწყაროს	—	40	20	20	40
წულუკიძის	10	47	20	27	57
ცხაკაიას	15	31	10	21	46
წყალტუბოს	—	35	15	20	35
ჭიათურის	—	55	25	30	55
ჩოხატაურის	—	30	10	20	30
ჩხარის	—	50	20	30	50
ჩხოროწყუს	—	27	10	17	27

3. დაევალოს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, გაწვევის კონტინგენტის საფუძველზე, ამ დადგენილების 2 პუნქტის თანახმად, დააწესონ 1940 წლის 1 ნოემბრისათვის ქალაქისა და კოლმეურნე იმ ახალგაზრდობის რაოდენობა, რომელიც გაწვეულ უნდა იქნას სახელოსნო სასწავლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბლებსა, სარკინიგზო სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში, თვითეული ქალაქისა და ადმინისტრატიული რაიონის მიხედვით.

4. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

ა) არაუგვიანეს 1940 წლის 5 ნოემბრისა გაანაწილონ კოლმეურნე ახალგაზრდობის რიცხვიდან გასაწვევთა რაოდენობა კოლმეურნეობათა მიხედვით;

ბ) სახელოსნო სასწავლებლებსა, სარკინიგზო სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში გაწვევის ჩასატარებლად მოეწყოს ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში კომისიები შემდეგი შემადგენლობით: მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე (კომისიის თავმჯდომარე), ქალაქის, რაიონის პროფკავშირის ორგანიზაციის წარმომადგენელი და საქართველოს ალკკ საქალაქო, სარაიონო კომიტეტის მდივანი;

გ) სახელოსნო სასწავლებლებსა, სარკინიგზო სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში ქალაქისა და კოლმეურნე ახალგაზრდობის გაწვევა დაწყებული იქნას 1940 წ. 10 ნოემბრიდან და დამთავრდეს არაუგვიანეს 25 ნოემბრისა;

დ) უზრუნველჰყონ სახელოსნო სასწავლებლებსა, სარკინიგზო სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში გასაწვევთა მომარაგება კოლმეურნეობათა ხარჯზე ზედა ტანისამოსით, ფეხსაცმელით, ორი წყვილი საცვალით, საკვები პროდუქტების იმ ოდენობით, რაც საკმარისი იქნება გზაში დანიშნულების ადგილამდე, და დაუთმონ გაწვეულთ გადასაყვანი საშუალებანი რკინიგზის სადგურამდე მისასვლელად.

5. დაევალოს საქალაქო და სარაიონო კომისიებს უზრუნველჰყონ ქალაქისა და კოლმეურნე გასაწვევი ახალგაზრდების სათანადო სამედიცინო გასინჯვა და თვითეულ გაწვეულს ხელზე მისცენ სახელოსნო სასწავლებლის, სარკინიგზო სასწავლებლის ან საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლის საგზური სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული შრომითი რეზერვების მთავარ სამმართველოს მიერ დაწესებული ფორმისა კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერით და მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ბეჭდის დასმით.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. ოქტომბრის 15. № 2023.

თბილისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ.

მისამართისათვის

ბარქსის სახ. საქ. სახელმწიფო
საჯარო
ბიბლიოთეკა
თბილისი

ფასი 40 კაპ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 11292. შეკვეთა № 1663. ტირაჟი 2000.

Собр. Народ. Расп. Правит. Груз. ССР